EAST-WEST UNIVERSITY
Partnership, Arizona State University

შპს აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი 0102, დიმიტრი უზნაძის ქ. N68ბ

LLC EAST- WEST UNIVERSITY
68B Dimitri Uznadze St., Tbilisi, 0102, Georgia

www.eastwest.edu.ge
(+995 32) 15 71 72
info@eastwest.edu.ge

პრეზიდენტი ბრძანება № 01-106

ქ. თბილისი 2025 წლის 10 სექტემბერი

,,შპს „აღმოსავლეთ - დასავლეთ უნივერსიტეტის" ბიზნესისა და ტექნოლოგიების სკოლაში აკადემიური თანამდებობების დასაკავებელი ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ" შპს აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტის პრეზიდენტის 2025 წლის 29 ივლისის № 01-90 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 34-ე მუხლსა და 35-ე მუხლის 1-5 პუნქტების, შპს ,,აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტის" წესდების 5.2 პუნქტის, შპს „აღმოსავლეთ - დასავლეთ უნივერსიტეტის" პრეზიდენტის 2025 წლის 11 თებერვლის N01-11 ბრძანებით დამტკიცებული „აღმოსავლეთ - დასავლეთ უნივერსიტეტის" დებულებისა და შპს ,,აღმოსავლეთ -დასავლეთ უნივერსიტეტის პრეზიდენტის 2025 წლის 11 თებერვლის N01-12 ბრძანებით დამტკიცებული ,,აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტის პერსონალის მართვის პოლიტიკის" საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ,,შპს „აღმოსავლეთ - დასავლეთ უნივერსიტეტის" ბიზნესისა და ტექნოლოგიების სკოლაში აკადემიური თანამდებობების დასაკავებელი ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ" შპს აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტის პრეზიდენტის 2025 წლის 29 ივლისის № 01-90 ბრძანებაში და:

   1.1 ბრძანების მე-8 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის დათქმა:
   ,,წინამდებარე პუნქტით განსაზღვრული ვადები არ ვრცელდება ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით გამოცხადებულ კონკურსზე."

   1.2 ბრძანებას დაემატოს შემდეგი შინაარსის 8^1 პუნქტი:

   ,, 8^1 . ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით კონკურსის ჩატარების ეტაპები:
   ,,პირველი ეტაპი - საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსანტთა დოკუმენტაციის შესწავლა-პირველადი შეფასება (2025 წლის 19-20 სექტემბერი);
   მეორე ეტაპი - დოკუმენტაციის შედეგად შერჩეულ კონკურსანტებთან გასაუბრება (2025 წლის 23-26 სექტემბერი);
   მესამე ეტაპი - საბოლოო გადაწყვეტილების მიღება (2025 წლის 26 სექტემბერი), უნივერსიტეტის პრეზიდენტის ბრძანებით აკადემიურ თანამდებობაზე განწესება 2025 წლის 30 სექტემბერი."

   1.3 ბრძანების მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

   ,,9. საკონკურსო დოკუმენტების მიღება შეწყდეს 2025 წლის 11 სექტემბრის დილის 10 საათზე. ხოლო, ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით - 2025 წლის 19 სექტემბრის დილის 10 საათზე. "

   1.4 ბრძანების მე-10 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

   ,,10. კონკურსის შედეგები გამოცხადდეს 2025 წლის 22 სექტემბერს, ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით - 2025 წლის 30 სექტემბერს, უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე - https://eastwest.edu.ge."

2. დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და მატერიალური რესურსების მართვის სამსახურს ბრძანების შპს აღმოსავლეთ - დასავლეთ უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსება;
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გიორგი ხუროძე,

აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტის პრეზიდენტი

EAST-WEST UNIVERSITY
EAST-WEST UNIVERSITY LLC
204535810